ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3138117

ნომერი: AR1483167

თარიღი : 02.03.2017

გაცემის თარიღი : 13.03.2017

გაცნობის თარიღი : 13.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , მე-10 კილომეტრი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეწაძე პ/ნ 21001006997
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 7 ბ. 80

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: არქიტექტურის სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საპროექტო ობიექტის ვიზუალური და მოცულობით ნაწილს მიანიჭა დადებითი შეფასება.

ამასთანავე დოკუმენტაციის განხილვისას გამოვლინდა შემდეგი გარემოება: სქემატური გეგმის თანახმად და ასევე აეროფოტოგადაღებაზე დაყრდნობით სავარაუდოა, რომ საპროექტო ღობე ვეწყობა #01.19.18.008.001 მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების მიღმა. ასეთ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი: 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შპს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შპს "სმოდ ედვერთაიზინგი".

იმ შემთხვევაში თუ ბანერების განთავსება არ იგეგმება საპროექტო ნაკვეთის წითელ ხაზებს მიღმა, განაცხადს უნდა დაურთოთ შესაბამისი სპეციალისტის მიერ დამუშავებული ტოპოგრაფიული გეგმა, მასზე არსებული ღობის დატანით და აღნიშნული ტოპოგეგმის საფუძველზე დამუშავებული გენერალური გეგმა, სარეკლამო ბანერების განთავსების ზუსტი ადგილმდებარეობის მონიშვნით.

დამატებით გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო ფოტომონტაჟზე დატანილი უნდა იყოს ბანერების ყველა გაბარიტული ზომა (ამ ეტაპზე დატანილი არ არის აბრების სიგრძე).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.